საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. ივნისის 29. № 13 ფასი

შინაარსი

186 / 1933 / 21

სამხედრო საქმე

168. 1911 წლის დაბადებული მოქალაქეების მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

169. საქართველოს სსრ-ში სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობისათვის მეთვალყურეობის მოწყობის შესახებ.

მრეწველობა

170. „სარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, ხოფლის მეურნეობა

171. საქართველოს სსრ-ში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მუშაობის შესახებ.

172. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათესი ფართობების და მოსავლის აღნუსხვის ორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

შრომა

173. 1933 წელს საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ფორმების შესახებ.

174. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის თვიურის ჩატარების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

175. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 346 მუხლის 1-ლი ნაწილისა, 353, 355 359 და 370 მუხლების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო საქმე

168. დადგენილება ც.ა.კ.

1911 წლის დაბადებული მოქალაქეების მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

1911 წელს დაბადებული მოქალაქეების მიმდინარე წელს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიმდინარე წელს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის მომზადებისა და ჩატარებისათვის ხელის შესაწყობად საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელობისა და კონტროლის განსახორციელებლად დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მთავრობის კომისია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. თენგიზ ყლენტის თავმჯდომარეობით და შემდეგი წევრების შედგენილობით: 1) ამხ. ბერიძე—თავმჯდომარის მოადგ. (საქართველოს ოლქის სამმართველოს უფროსი), 2) ამხ. საყვარელიძე და წილოსანი (საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.), 3) ამხ. მგელაძე (ალკკ ცენ. კომ.), 4) ამხ. ანთაძე და კაკაურიძე (ს.პ.კ.ს.), 5) ამხ. მარქაროვი (საქ. თავ. ავიაქიმის ც.კ.), 6) ამხ. გოდაბრელიძე (მძიმე მრეწვ. სახკ. რწმუნ. სამმართველო საქ. სსრ), 7) ამხ. კალანდაძე (საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახკომი), 8) ამხ. მამალაძე (საქ. სსრ ჯანსახკომი), 9) ამხ. ვაშაკიძე (საქ. სსრ განსახკომი), 10) ამხ. აფციაური (საქ. სსრ მიწსახკომი), 11) ამხ. ხიხაძე (საქ. სსრ იუსტიციის სახკომი), 12) ამხ. გიორგი ელისაბედაშვილი (საქ. სსრ მუშგლეხ. სახკომი), 13) ამხ. თომა სიხარულიძე (გაზ. „მუშა“), 14) ამხ. დავით გვაზავა (გაზ. „კომუნისტის“ რედაქ.), 15) ამხ. რახმანი (გაზ. „ტიფ. რაბოჩი“-ს რედაქ.).

მთავრობის კომისიის პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნოს ამხ. გრ. ავალიშვილი.

2. აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ რაიაღმასკომები და საქალაქო საბჭოები, ყველა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია—პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოებთან მჭიდრო კავშირის გაბმით—დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ 1911 წ. დაბადებულ მოქალაქეთა მიმდინარე წელს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მოსამზადებელი და ჩასატარებელი მუშაობის ფართოდ გაშლას და მოაწყონ ამ მიზნით აღმასკომებთან, სასოფლო საბჭოებთან,

სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და კოლმეურნეობებთან მორიგი გაწვევის დამხმარე კომისიები და ჯგუფები.

ბიბლიოთეკა

3. მორიგი გაწვევის დამხმარე მთავრობის კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს წვევამდელთა მტკიცე სოციალურ-კლასობრივ შერჩევას, რომ ამით შესაძლებლობა მოესპოს კლასობრივად მავნე და ზნეობრივად მერყევ ელემენტებს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში შეპარვას, აგრეთვე წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და წერა-კითხვის მცირედ მცოდნეობის ლიკვიდაციას; წვევამდელების წინასწარი სამხედრო მომზადება, და გაწვევისათვის მზადება და მისი ჩატარება კომისიამ უნდა აწარმოოს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცებისა და მეორე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულების მიმართულებით.

4. მთავრობის კომისიის მოქმედებასთან და გაწვევის ირგვლივ წარმოებული აგიტ-მასური მუშაობის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად გაცემულ იქნეს ამ კომისიის განკარგულებაში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახსრიდან სათანადო თანხა.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. მაისის 8.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 106 №-ში 1933 წ. მაისის 10.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

169. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობისათვის მეთვალყურეობის მოწყობის შესახებ.

სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობისათვის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, რესპუბლიკანური სამეურნეო ორგანოებისა და კოოპერატიული ცენტრების საწარმოო-საგეგმო სექტორებში გამოყოფილ იქნენ სპეციალური თანამშრომელნი, რომელთაც დაეკისროთ სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების ხაზით გეგმების აღსრულების მსვლელობის შესახებ მიმოხილვების შედგენა და ღონისძიებათა შემუშავება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროგრამებისა და მინიშნებების მიხედვით; ამ თანამშრომლების სახელი და გვარი სამი დღის ვადაზე უნდა ეცნობოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

აღნიშნული ღონისძიება განხორციელებულ იქნეს რესპუბლიკანური ორგანოების და კოოპერატიული ცენტრების შტატების გაუდიდებლად, შესაბამისი ასიგნატების სათანადო გარდაქმნით.

2. დაევალოს სახალხო კომისარიატებისა, რესპუბლიკანური სამეურნეო ორგანოებისა და კოოპერატიული ცენტრების ხელმძღვანელთ—ყოველთვე განიხილონ კოლეგიასა თუ პრეზიდიუმში საკითხი სათანადო დარგებში გეგმების აღსრულების მსვლელობის შესახებ და შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ყოველთვე, არა უგვიანეს 15 რიცხვისა, წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს მოხსენება უკანასკნელი თვის სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ—სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა აღნიშვნით.

შენიშვნა. კვარტალისა, 6 თვისა, 9 თვისა და წლიური გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისია მოახსენებს სათანადო პერიოდის უკანასკნელი თვის გეგმის აღსრულების მიმოხილვასთან—არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, რესპუბლიკანურ სამეურნეო ორგანოებს და კოოპერატიულ ცენტრებს და აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა ფედერატიული და საკავშირო მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ორგანიზაციას, მათ ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, წარუდგინონ ხოლმე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გეგმების აღსრულების შემმოწმებელი სექტორის ხაზით—გეგმების აღსრულების თვიური მიმოხილვები პრაქტიკული ღონისძიებებითურთ არა უგვიანეს 11 რიცხვისა, ხოლო კვარტალური, ნახევარწლიური, ცხრათვიური და წლიური მიმოხილვები—არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

შენიშვნა 1. უკანასკნელი თვის მიმოხილვასთან ერთად უწყებები და ორგანიზაციები წარადგენენ მთელი გასული დროის შეფასებას.

შენიშვნა 2. უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ წარსადგენმა მიმოხილვებმა უნდა მოიცვან სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის ყველა საწარმო, იმისდამიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება იგი (საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი).

5. უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ წარსადგენ მიმოხილვებში გამოყოფილ იქნეს განსაკუთრებული თავი სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის კაპიტალური მშენებლობის შესახებ.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეიტანოს სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების კვარტალურ, ნახევარწლიურ და წლიურ მიმოხილვებში თავი სოციალურ-კულტურულ მშენებლო-

ბის შესახებ, რომელმაც უნდა მოიცვას განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხები.

7. მიენიშნოთ უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელნ, რომ ნაგებების აღსრულების შესამოწმებლად საჭირო მასალების წარუდგენლობა ან არა თავის დროზე წარდგენა, რაც ჰშლის საგეგმო ორგანოების მუშაობას და ამასთან ერთად სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულებიდან გამომდინარე მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებასაც, განხილულ იქნება როგორც სამსახურის მოვალეობის უგულვებელყოფა, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღრიცხვის საქმე ცუდად არის დაყენებული როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადგილობრივ.

8. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს:

ა) გასცეს თავისი ხაზით დირექტივა იმის თაობაზე, რომ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების შესამოწმებლად საჭირო მასალის წარდგენის ვადები და წესი, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით როგორც უშუალო დამნაშავენი აღნიშნული მასალის წარუდგენლობაში ან არა თავის დროზე წარდგენაში, ისე აღრიცხვის საქმის დაყენებისათვის პასუხისმგებელი პირნი;

ბ) იხმაროს ღონისძიება აღნიშნულ დარღვევათათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

9. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებსა და ოლქში ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მაისის 10.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

170. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ხარეწაო კოოპერაციის სისტემის საზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ხარეწაო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრა-

ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მოქმედების ვადა (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 12) განგრძობილ იქნეს 1933 წლის ივნისის 15-დე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ყოფიკაშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. მაისის 7.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

171. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

საქართველოს სსრ-ში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მუშაობის შესახებ.

ყველა მარცვლეული კულტურების და მზეუჭვრიტის მოსავლიანობისა და მთელი აღებული მოსავლის შესახებ ზედმიწევნითი ცნობების გამოსარკვევად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებით მოეწყო მარცვლეული კულტურების და მზეუჭვრიტას მოსავლიანობისა და მთელი აღებული მოსავლის გამომრკვევი მუდმივი სახელმწიფო კომისია.

ამ კომისიის ადგილობრივი ორგანოები არიან სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიები და რწმუნებულები (ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში), რომელნიც მთლად თავიანთ მუშაობაში ექვემდებარებიან მარტოოდენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სახელმწიფო კომისიას.

მოსავლიანობის გამომრკვევი სპეციალური ორგანოების სისტემის მოწყობა გამოწვეულია იმით, რომ, რადგანაც სამიწათმოქმედო ორგანოებმა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ხაზით მომუშავე ხელმძღვანელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს დიდ სოციალისტურ მეურნეობებში აღრიცხვის საქმის სწორედ დაყენების პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, და რადგანაც მთელი რიგი მომუშავენი იჩენდნენ დანაშაულებრივ დაუდევრობას და სჩადიოდნენ პირდაპირ მავნებლობასაც კი,—სახელმწიფოს არ ჰქონდა ზედმიწევნითი ცნობები მარცვლეული კულტურების ნათესის ფართობებისა, მოსავლიანობისა და მთელი აღებული მოსავლის შესახებ.

ნათესი ფართობის და მოსავლიანობის აღრიცხვის წესიერად დაყენებას ამჟამად აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა პურეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი მეთოდის ჩაბარებასთან დაკავში-

რებით, როდესაც მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების ჩაბარების ვალდებულება გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მოსავლიანობის შესახებ ქონებულ ცნობებზე დამყარებული მტკიცე განაკვეთებისა და ნათესის საგეგმო ფართობების მეხედვით. ამ საქმეში საჭიროა განსაკუთრებული კლასობრივი სიფხიზლე და ყურადღება კულაკურ ელემენტებთან, ფართობების დამალვის ტენდენციებთან და მოსავლიანობის შესახებ ცნობების შემცირებასთან ბრძოლისათვის.

სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს სააღრიცხვო ცნობების დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სახელმწიფოს მოტყუება ნათესი ფართობებისა, მოსავლიანობისა და მთელი აღებული მოსავლის ზედმიწევნითი რაოდენობის გამორკვევის საქმეში.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოწყობილია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მთელი აღებული მოსავლის გამომრკვევი ორი სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისია:

1) ტფილისის კომისია, რომელიც მომსახურეობას უწევს საქართველოს სსრ აღმოსავლეთ ნაწილს და რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, და

2) ქუთაისის კომისია, რომელიც მომსახურეობას უწევს საქართველოს სსრ დასავლეთ ნაწილს და რომელიც იმყოფება ქ. ქუთაისში.

ამ კომისიების მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ ყოველგვარი დახმარების გაწევა სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიებისათვის მათ მიერ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გამოსარკვევად წარმოებულ მუშაობაში და კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტივიზაციით მოუცავ სოფლებში საკონტროლო-სამეთვალყურეო საგუშაგოების მოწყობის საქმეში;

ბ) ხელი შეუწყონ სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების თავმჯდომარეებს მეკონტროლე-მეთვალყურეთა შერჩევაში ელემენტარული აგრონომიული ცოდნის მქონე, მოწინავე, კლასობრივ მტკიცე კოლმეურნეთაგან, რომელთაც შეიძლება დაეყრდნენ სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიები;

გ) მოახდინონ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გამორკვევის ამოცანების გარშემო ფართო საზოგადოებრიობის მობილიზაცია, რამაც შესაძლებელ უნდა ჰყოს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ნამდვილი მდგომარეობის გამორკვევა თვითეულ სასოფლო საბჭოში, კოლექტიურ მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვა მისთ. და გამოაშკარაოს ის კონკრეტული პირნი, რომელნიც ჰმალავენ ფართობებს და ზიანს აყენებენ სახელმწიფოს; ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს რაიონული პრესა, და საკონტროლო-სამეთვალყურეო საგუშაგოების გარშემო მობილიზებულ უნდა იქნენ პარტიული უჯრე-

დები, სასოფლო საბჭოები, კომისიები, ქალთა აქტივი და აქტივისტ-მოხალისენი ნათესებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად და კომისიისათვის სისტემატურად თავიანთი ცნობების მისაწოდებლად მარცვლეული კულტურებისა, ოსტვისა და ჯეჯილებისა, ამინდისა და სხვა პირობების თაობაზე;

დ) განუმარტონ კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციას და სასოფლო საბჭოების თავჯდომარეებს, რომ მათ ეკრძალებათ მეკონტროლე-მეთვალყურეების საქმიანობაში ჩარევა, მათ მიერ გასაგზავნი წერილების დათვალიერების მოთხოვნა, მათთვის რაიმე სავალდებულო დირექტივის მიცემა და, მით უფრო, მათ მიმართ რაიმე რეპრესიის ხმარება საკონტროლო-სამეთვალყურეო მუშაობისათვის;

ე) ჩაებნენ სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მიერ პურეულის მოსავლის სანიმუშო საჩვენებელი აღებისა და საცდელი ლეწვის მოწყობისათვის წარმოებულ მუშაობაში, რათა ამ მუშაობით მოცულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაც შეიძლება უფრო დიდი რიცხვი და თავიდან აცილებულ იქნეს უკანასკნელ შესაძლებლობამდე დანაკლისები მოსავლის აღებისა და ლეწვის დროს; ეს საქმე უნდა მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე, საკოლმეურნეო და საბჭოთა ნაცად აქტივზე დაყრდნობით, და მიიღწევინონ კოლმეურნეთა მასები საკოლმეურნეო აქტივის დამკვრელობა ადგილზე;

ვ) იქონიონ მუდმივ კონტროლ-ქვეშ სამიწათმოქმედო ორგანოებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო ინსპექტორის მუშაობა, სახელდობრ ის ნაწილი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების დავალებათა აღსრულებასთან,—ამ მუშაობის თვისების გაუმჯობესებისა და აპარატის ყველა რგოლეულის და თვითეული აღმასრულებლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით.

2. კატეგორიულად აიკრძალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო ინსპექტორის მოანგარიშე-მომუშავეთა მოხსნა და სხვა სამუშაოზე გაგზავნა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შეუთანხმებლად, და ძველი მომუშავენი აღრიცხვისა დაბრუნებულ იქნენ მათ წინანდელ სამუშაო ადგილებზე სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო ინსპექტურაში.

3. სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების დებულების შესაბამისად:

ა) აეკრძალოს ყველა ადგილობრივ ორგანოს სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევა და ამ კომისიების მომუშავეთა გადაყვან-გადმოყვანა და სხვაგან წარგზავნა;

ბ) დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსე-

ბულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის რწმუნებულისა (საქართველოს სსრ-ში), სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ყველა ორგანოს წარუდგინოს ხოლმე სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიებს ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გამოსარკვევად საჭირო ყველა მასალა და აგრეთვე ჯუმლები კომისიების მოთხოვნისამებრ;

გ) დაევალოს ყველა იმ ორგანიზაციას და საწარმოს, რომლის ცნობებსაც არ შეიცავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათესვო ჯუმლები, წარუდგინოს ხოლმე თავისი ჯუმლები უშუალოდ სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიას დადგენილ ვადაზე;

დ) დაევალოს ადგილობრივ ორგანოებს—წარუდგინონ ხოლმე სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიებს ყველა მათ მიერ მოთხოვნილი მასალა, წარავლინონ მათ განკარგულებაში მომუშავენი საკონტროლო ღონისძიებათა და აგროტექნიკური კონსულტაციის განსახორციელებლად და აგრეთვე მისცენ მათ ტექნიკური საშუალებანი მასალის შესაგროვებლად და დასამუშავებლად;

ე) დაევალოს იუსტიციის ორგანოებს—განიხილონ ხოლმე რიგსგარეშე წესით სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მიერ გადაცემული საქმეები საბჭოთა სახელმწიფოს მოტყუებისათვის ბოროტეული მცდელობისა და ნათესი ფართობებისა, მოსავლიანობისა და მთლად აღებული მოსავლის რაოდენობის თაობაზე არასწორე ცნობების წარდგენისათვის, აგრეთვე მოთხოვნილი მასალის წარდგენის მოვალეობის უგულვებელყოფისათვის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ;

ვ) წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მუშაობის მოწყობის მიზნით—დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ეს კომისიები სათანადო სადგომებით მეცადინეობისათვის, თანამშრომელთა საჭირო შტატით, ტელეფონებით, განათებით, სათბობსაცხები მასალით მანქანებისათვის და ბინებით მომუშავეთათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც კ-ის. მდივანი **ლ. ბერია.**

1933 წ. მაისის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 109 №-ში 1933 წ. მაისის 14.

172. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათესი ფართობების და მოსავლის აღნუსხვის ორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული—მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და აღებული მოსავლის საერთო რაოდენობის გამომრკვევი მუდმივი სახელმწიფო კომისიების დებულების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 97ა და 97ბ), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 11-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 121) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. მაისის 13.

ტფილისი.

შ რ ო მ ა

173. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

1933 წელს საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ნორმების შესახებ.

ვინაიდან სოფლის მოსახლეობა უშუალოდ დაინტერესებულია ურელსო გზების ქსელის გაუმჯობესებასა და განვითარებაში, და 1933 წელს საგზაო მშენებლობის მინიმილური პროგრამა საკმარისად უზრუნველყოფილი არ არის არაკვალიფიციური მუშა-ძალით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს, რომ შრომის საგზაო ბეგარაზე, ამ ბეგარის დებულების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148; 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16 და 17), გასაწვევი მოსახლეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს 1933 წელს საგზაო სამუშაოებზე:

ა) პირადი შრომითი მონაწილეობით საგზაო სამუშაოებში 15 დღის ფარგლებში საგაკვეთილო დებულებით გათვალისწინებული დატვირთვის ნორმების კვალობაზე;

ბ) საგზაო სამუშაოებისათვის მუშა-საქონლის გამოყვანით საჭირო საჭაპანზიდვო ტრანსპორტის საშუალებათა და ინვენტარითურთ 15 საზიდავ-დღის

ფარგლებში თვითეულ უღელ მუშა-საქონელზე საგაკვეთილო დებულების ნორმების თანახმად გამოანგარიშებული დატვირთვის კვალობაზე.

2. ზემოაღნიშნული მუშა-დღეებისა და საზიდავ-დღეების ზღვრული ნორმების მიხედვით შრომის საგზაო ბეგარაზე გაიწვევიან როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი და აგრეთვე მთელი მოსახლეობა, გარდა ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირებისა და იმ პირებისა, რომელნიც განთავისუფლებულ უნდა იქნენ შრომის საგზაო ბეგარისაგან" საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის ჩატარების შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 20-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 256; 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 43).

3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობანი (კულაკური) და ამ მეურნეობების შედგენილობაში შემავალი პირნი, აგრეთვე სარეწაო გადასახადით დაბეგრილი კერძო მეურნეობანი და საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების კვალობაზე დაბეგრილი პირნი შრომის საგზაო ბეგარაზე გაიწვევიან 1933 წელს სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობისათვის დაწესებული მუშა-დღეებისა და საზიდავ-დღეების ნორმებთან შედარებით 50%-ით გადიდებული ნორმების კვალობაზე.

4. ცნობილ იქნეს, რომ საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის მონაწილეობა ამ მშენებლობის საჭიროებისათვის თავისი საჭაპანზიდვო ტრანსპორტის გამოყენებით მოსახლეობის ძირითადი მოვალეობაა საჭაპანზიდვო ბეგარის სფეროში, და რომ მოსახლეობის გაწვევა გადაზიდვისათვის სხვა სახალხო-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულისა, ჩატარებულ უნდა იქნეს მარტოოდენ მოგროვების წესით ხელშეკრულებისა და თვითვალდების საფუძველზე.

5. მიენდოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—გამოსცეს 10 დღის ვადაზე, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. მაისის 7.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 105 №-ში 1933 წ. მაისის 9.

174. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის თვიურის ჩატარების შესახებ.

1933 წ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმების წარმატებით აღსრულებისა და საგზაო სამუშაოებზე შრომითი საგზაო ბეგარის წესით მოსახლეობის გეგმაშეწონილად გამოყვანის უზრუნველყოფისათვის, თანაც ამ სამუშაოების სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაოებთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის მაისის 20-დან ივნისის 20-მდე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის თვიური.

2. თვიურის ძირითად ამოცანას შეადგენს მშრომელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა გზათა მშენებლობაში მასური ახსნა-განმარტებითი კამპანიით და მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოების გეგმიანად მოწყობა.

3. თვიურის განმავლობაში ჩასატარებელი მუშაობა დაყოფილ უნდა იქნეს ორ პერიოდად: მოსამზადებელი და მოსახლეობის ორგანიზაციულად გამოყვანა საგზაო სამუშაოებზე.

4. თვიურის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს უგზაობასთან ბრძოლის რესპუბლიკანური კომისია (შტაბი) ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით და ამხანაგთა ვ. ქურდაძისა (თავმჯდომარის მოადგილე), მ. ვარამაშვილისა (სრულიად საქართველოს ცენ. აღმ. კ-ტის საორგანიზაციო განყოფილება), თათარიშვილისა (საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი), კვიცინაძისა („ავტოგზის“ საზ-ბა), შახბაზიანისა (საქ. ალკკ ცენტრ. კომიტეტი), კაკიჩაშვილისა (საქ. სსრ გზატკ. ყამირგზ. და საავტომობ. ტრანსპ. სამმართველო) და „შოსპორტმშენი-“ს კავშირის ცენტრალური გამგეობისა და გაზეთების „კომუნისტისა“, „ტიფლისკი რაბოჩი-“სა და „კოლექტივიზაციის“ რედაქციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

5. წინადადება მიეცეს საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს:

ა) იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სათანადო რაიონების ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის თვიურის ჩატარებას, და ბ) მოაწყონ უგზაობასთან ბრძოლის საარაიონო კომისიები (შტაბები).

6. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-

ტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამ დადგენილების აღსრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 112 №-ში 1933 წ. მაისის 17.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

175. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 346 მუხლის 1-ლი ნაწილისა, 353 355, 359 და 370 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 346 მუხლის 1-ლი ნაწილი, 353, 355, 359 და 370 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 128) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„346 (1-ლი ნაწ.) ყველა საჩივარი სახალხო სასამართლოს განაჩენისა და დადგენილებაზე და სახალხო მოსამართლის დადგენილებაზე შეტანილ უნდა იქნეს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში სახალხო სასამართლოს განსაჩივრებული განაჩენისა თუ დადგენილების ან სახალხო მოსამართლის დადგენილების გამოტანის დღიდან".

„353. სამართალში მიცემულს უფლება აქვს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მისთვის შეტყობინებისა და განაჩენის ასლის ჩაბარების დღიდან შეიტანოს თხოვნა საქმის ხელახალი განხილვის შესახებ; თხოვნაში აღნიშნულ უნდა იყოს სამართალში მიცემულის გამოუცხადებლობის მიზეზი".

„355. სამართალში მიცემულს უფლება აქვს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში იმ დღიდან, რაც საქმის ხელახალი განხილვის შესახებ შეტანილი თხოვნის უშედეგოდ დატოვება ეცნობა, შეიტანოს საერთო წესით საკასაციო საჩივარი სახალხო სასამართლოს სადაუსწრებლო განაჩენზე".

„359. უკეთუ სამართალში მიცემულს სადაუსწრებლო განაჩენზე საპასუხო თხოვნა არ შეუტანია, მას უფლება აქვს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში შეტყობინებისა და სადაუსწრებლო განაჩენის ასლის ჩაბარების დღიდან შეიტანოს საერთო წესით სადაუსწრებლო განაჩენზე საკასაციო საჩივარი".

„370. მსჯავრდადებულს შეუძლიან სასამართლოს ბრძანება განაჩივრონ საკასაციო წესით ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ბრძანების გამოტანის დღიდან, უკეთუ მსჯავრდადებული საქმის განხილვას დაესწრო, ან მსჯავრდადებულისათვის ბრძანების ასლის ჩაბარების დღიდან, უკეთუ ბრძანება გამოტანილია მის დაუსწრებლად“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ელენტი.

1933 წ. მაისის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 121 №-ში 1933 წ., მაისის 28.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1933 წლის მეორე ნახევრისათვის

(თვითეული ტექსტისა)

5 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1933 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

მთავლიტი № 659. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 946. ტირაჟი 1.600.